საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/15 “ 7 ” თებერვალი 2023 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ნ. ჩალათაშვილის გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ნანა ჩალათაშვილი 2023 წლის 15 თებერვლიდან გამწესდეს გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დასაბუთება

ნანა ჩალათაშვილის გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2022 წლის 25 ნოემბრის №1/130 განკარგულებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის, გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2022 წლის 28 ნოემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 7 კანდიდატი.

2022 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 9 იანვრამდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ნანა ჩალათაშვილზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 9 იანვარს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ნანა ჩალათაშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 38-წლიანი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 36-წლიანი გამოცდილება. იგი 1987 წლიდან არის საერთო სასამართლოების მოსამართლე. ნანა ჩალათაშვილი სხვადასხვა დროს იყო ლაგოდეხის და გურჯაანის რაიონული სასამართლოების მოსამართლე. ამჟამად არის გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.

მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა, არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ნანა ჩალათაშვილს გაესაუბრნენ 25 იანვარს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2023 წლის 27 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10-მა წევრმა კანდიდატი ნანა ჩალათაშვილი შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

ნანა ჩალათაშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა ათივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ ნანა ჩალათაშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 830 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 83%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2023 წლის 7 თებერვალს გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის პირველ ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 10-მა წევრმა მიიღო, ნანა ჩალათაშვილმა მოიპოვა 10 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე კენჭისყრის ბიულეტენში შეყვანილ იქნა 4 კანდიდატი, მათგან 3 ყოფილი მოსამართლე და 1 მოქმედი მოსამართლე, კერძოდ:

1. გიორგაშვილი სანდო - 0 ხმა
2. ზვიადაძე გიორგი - 0 ხმა
3. ჩალათაშვილი ნანა - 10 ხმა
4. ჩემია გიორგი - 0 ხმა

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - ნანა ჩალათაშვილის კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის (წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის, პროფესიული თვისებების) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 3 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესდა ნანა ჩალათაშვილი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი